

საქართველოს კანონი
“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში (გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტის უწყებები 1994 წელი - №21-22) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 მუხლის 4.6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4.6. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო სამეწარმეო რეესტრის ასლს (ელექტრონულ ვერსიას) უგზავნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - სტატისტიკის დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა. სააქციო საზოგადოების სამეწარმეო რეესტრის ასლს (ელექტრონულ ვერსიას) საგადასახადო ორგანო ამავე ვადაში უგზავნის საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულებას - ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.”.

2. 54-ე მუხლის 54.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“54.2. საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების წიგნში შეტანილ უკანასკნელ იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე 20 დღის ვადაში ღირექტორების მიერ ბეჭდვით ორგანოში გამოცხადებით ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნით. მოწვევასთან ერთად უნდა გამოცხადდეს დღის წესრიგი და ღირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად; შესაძლო ცვლილებები საზოგადოების წესდებაში უნდა გამოცხადდეს იმავედროულად. სააქციო საზოგადოების საერთო კრების დღის წესრიგთან ერთად შესაძლოა გამოცხადდეს ღირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. კრების მოწვევის შეტყობინებას უნდა დაერთოს აგრეთვე იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება.”.

საზოგადოების აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულების - ფინანსური მონიტორინგის სამსახური განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით. საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულება - ფინანსური მონიტორინგის სამსახური განსაზღვრავს აგრეთვე იმ ბეჭდვით ორგანოს, რომელშიც შეიძლება შეტყობინების გამოქვეყნება.”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასრულების შემდეგ.